

## გუპინისტი მენდელი

ერთხელ კიდევ აღმოვჩნდი ვენაში. ქალაქის გარეუბანში სტუმრად ვიყავი და შინ რომ ვბრუნდებოდი, თავსხმა წვიმაში მოვხვდი; კოკისპირული წვიმა ხალხს სადარბაზო შესასვლელისაკენ და საჩიხებისაკენ ერეკებოდა; მეც სასწრაფოდ მოვძებნე თავშესაფარი. საბეღნიეროდ, ვენაში ყოველ კუთხეში გელოდიბათ კაფე — მეც სწორედ ერთერთ ასეთ კაფეს შევაფარე თავი ქუჩის მეორე მხარეს; ქუდი უკვე სულ დასველებულიყო და მხრებშიაც გაეტანა წვიმას. შიგნიდან ეტყობოდა, რომ კაფე ქალაქის განაპირას მდებარეობდა; ეს იყო ჩვეულებრივი, მეტაზ გავრცელებული ტიპის კაფე, რომელსაც არ ჰქონდა გერმანიაში დამკვიდრებული ახალმოდური საორკესტრო ესტრადა, ~~რითაც~~ ასე განთქმულია ქალაქის ცენტრში მდებარე რესტორნები. ეს იყო მამაპაპური, ძველვენური, ბიურგერული კაფე. იგი ყოველთვის სავსე იყო წვრილ-ფეხობით, რომელიც ჩვეულებრივ გაზეთებს უფრო ეტანებოდა, ვიდრე ნამცხვარს. ამჯერადაც.

მიუხედავად სალამო ხანისა, კაფეში უკვე სულ-შემხუთავი ჰაერი იღვა, პაპიროსის კვამლი ლურ-ჯად მოსდებოდა იქაურობას, მაგრამ თავად კაფე თავისი ხავერდვადაკრული სავარძლებითა და ალუ-მინის სალაროთი სუფთა ჩანდა. სიჩქარისაგან აზ-რადაც არ მომსვლია, რომ შემოსვლისას გარედან კაფეს სახელწოდება წამეკითხა. თუმცა, რა საჭირო იყო? — მაგიდას მივუჩექი, თბილოდა: მოუთმენ-ლად ვუყურებდი წვიმისაგან ლურჯად ჩამორეცხილ მინებს და ველოდებოდი წვიმის გადალებას.

უსაქმოდ ვიჩექი და თანუათან მოთენთილობა შემეპარა, რაც ყოველ ნამდვილ ვენურ კაფეში ნარკოზივით გაგიჯდება ხოლმე. ასე გაშტერებული ვათვალიერებდი თითოეულ ადამიანს: თამბაქოს კვამლით გაუღენთილი ოთახის ხელოვნური შუქი მათ ავადმყოფურ რუს ფერად ჩასწოლოდათ თვა-ლებში. ვუყურებდი მოლარე ქალიშვილს. თუ რო-გორ მექანიკურად ურიგებდა ოფიციანტებს შაქარ-სა და კოვზებს ყავისათვის. ნახევრად მძინარე, ინს-ტინქტურად ვკითხულობდი კედელზე გაკრულ ძლიერ მოსაწყენ პლაკატებს და შეგრძნებათა ამ-დაგვარი მოჩლუნგება თითქმის სიამოვნებასაც კი მგვრიდა. მაგრამ უეცრად, გაურკვეველი მიზეზის გამო, ბურანიდან გამოვერკვიე, რაღაც შინაგანმა ძალამ მოსვენება დამიკარგა, ზოგჯერ ასე კბილის ტკივილი იწყება, როცა არც კი იცი, ზუსტად რა აღგილას გტკივა. მხოლოდ რაღაც ყრუ დაძაბუ-ლობას, რაღაც სულიერ მოუსვენრობას ვგრძნობ-

ლი. ანაზღად, თვითონ ვერ გეტყვით რის გამო, გა-  
მახსენდა, რომ რამდენიმე წლის წინათ აქ ნამყო-  
ფი გახლდით და თითქოს რაღაცნაირი მოგონებები  
მაკავშირებდა ამ კედლებთან, ამ სკამებთან, ამ მა-  
გიდებთან, იმ თამბაჭოს ბოლით გავსებულ  
ოთახთან.

მაგრამ რაც უფრო ძალას ვატანდი თავს, გამუ-  
ცხოველებინა ეს მოგონება, მით უფრო მუხანათუ-  
რად მისხლტებოდა ხელიდან; მოგონება ცნობიე-  
რების ფსკერზე დალექილიყო და მისი არც დაჭერა  
შეიძლებოდა და არც ხელის ჩავლება. ამაოდ ვაშ-  
ტერდებოდი თითოეულ საგანს, რასაკვირველია,  
ზოგიერთი არ მახსენდებოდა, მაგალითად, სალარო  
თავისი წკარუნა ავტომატური აღმრიცხველით და  
არც ეს ყავისფერი პანელი კედლის გასწვრივ. ყვე-  
ლაფერი ეს, ალბათ, შემდეგ გააკეთეს. მაგრამ მე  
უოუოდ ვიყავი ერთხელ აქ ნამყოფი, ოცი წლის,  
შესაძლებელია, მეტი ხნის წინათაც. აქ საღლაც შე-  
უმჩნევლად მიმალულიყო დიდი ხნის წინათ დავი-  
წყებული საკუთარი „მე“. მთელი გულისყურით  
ვაცქერდებოდი ოთახს და ამავე დროს დაძაბული  
ვფიქრობდი. მაგრამ, ღმერთმა დასწყევლოს, ვერ  
მოვახერხე აღმეღვინა ეს მბჟუტავი, ჩემშივე ჩა-  
ძირული მოგონება.

ვბრაზობდი, ვბრაზობდი ისე, როგორც ზოგ-  
ჯერ, როცა რაიმე მარცხი ჩვენი სულიერი ძალების  
უმშეობას და ნაკლოვანებას ამხელს, მაგრამ იმედს  
არ ვცარგავდი, რომ ყოველივე მომაგონდებოდა.

სულ ოდნავი ბიძგი იყო საჭირო, ეს ვიცოდი, ვიცოდი ჩემი მეხსიერების ამბავი. უცნაური მეხსიერება მქონდა, ერთდროულად ცუდიც და კარგიც. ერთი მხრივ, ჯიუტი და თავნება, მაგრამ ამასთანავე გასაოცრად ერთგული. იგი ხშირად სულ მთლად ბნელით მოსავდა მნიშვნელოვან ამბებსა და ადამიანებს, წაკითხულსა და განცდილს, და დავიწყების ამ წყვდიაღს ძალდატანების გარეშე არასოდეს არ მოჰყენდა ნათელს. მაგრამ საკმარისი იყო უცაბედი რამ ბიძგი, თუნდაც ლია ბარათი, ანდა რამდენიმე სიტყვა წარწერილი კონვერტზე, გაყვითლებული გაზეთის ნაგლეჭი და იმავე წუთში დავიწყებული ცოცხლად და მკაფიოდ ამოტივტივდებოდა ზედაპირზე, ისე როგორც ანკესზე წამოგებული თევზი. შემდეგ კი ოდესლაც ნანახი ადამიანის ყოველი წვრილმანი მახსენდებოდა, მისი ტუჩები და პირში მარცხენა მხარეს ჩაცვენილი კბილები, სიცილისას რომ ჩნდებოდა: ალდგებოდა აგრეთვე ნაწყვეტ-ნაწყვეტი საცილი, რომლის ღროსაც ულვაში თრთოდა. ყოველივე ამას ცხადად ვხედავდი, — და მახსენდებოდა წლების წინათ ამ კაცის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა. მაგრამ იმისათვის, რომ ნათლად ალვადგინო და შევიგრძნო წარსული, შინაგანი ბიძგი მჟირდება, სინამდვილის ცოტაოდენი დახმარება. ამიტომ თვალები დავხუჭე. რომ დაძაბულად შემძლებოდა ფიქრი. ვცდილობდი. ხელშესახები გამეხადა იდუმალებით მოკული მოგონების კაკვი, რათა იგი ცნობიერების ფსკერ-

ზე დალექილი მოგონებებისათვის გამოშედო. მაგრამ ამაოდ! ამჯერად არ გამიმართლდა! ყველაფერი მიძინებული და მივიწყებული იყო. ისე გავტრაზდი ჩემი მახსოვრობის უხეირო აპარატზე, საფეთქლებს შორის რომაა მოქცეული, რომ მოვინდომე მუშტების შუბლზე წაშენა, იმდაკვარად, როგორც მოშლილ ხელსაწყოს შეანჭლრევინ ხოლმე, რათა ჩაყლაპული მონეტა უკან დააბრუნოს. ჩემი მეხსიერების გამო აღელვებულმა დიდხანს ვერ შევძელი წყნარად ჯდომა, ბრაზმორეული წამოვხტი და სუფთა ჰაერზე დავაპირე გავლა. მაგრამ, დახეთ საკვირველებას — ორი ნაბიჯის გაღადგმაც ვერ მოვასრული, რომ უეცრად ჩემს, გონებაში ჯერ კიდევ სუსტმა და ციმციმა შუქმა ინათა. გამახსენდა, სალაროსთან მარჯვნივ უფანჯრო გასასვლელი უნდა ყოფილიყო და ოთახი მხოლოდ ხელოვნური სინათლით გაშუქებული. მართლაც ასე აღმოჩნდა; ეს იყო სწორედ ის ოთახი... მართალია, კედლებზე ახლა სხვა შპალერი იყო აკრული, ვიღრე მაშინ, მაგრამ ეს ივივე ოთხკუთხა სათამაშო ოთახი იყო. ინსტინქტურად თითოეულ საგანს დავაკვირდი. უკვე სიხარულისაგან მთელი ტანით ვცახცახებდი (ვგრძნობდი, რომ ყველაფერს გავიხსენებდი). იქვე ორი ბილიარდი იდგა; ოთახის კუთხეებში ბანის სათამაშო მაგიდები იყო მიღამული. ერთ-ერთ მათგანზე ორი სამეფო კარის მრჩეველი, ან, შესაძლებელია, პროფესორი, ჭადრაკს თამაშობდა. ერთ კუთხეში, პატარა რკინის ღუმელთან, იქ, საღაც გა

სასვლელი იყო ტელეფონის ჭიშურთან, პატარა  
ოთხკუთხა მაგიდა იდგა. აქ კი უცებ მოგონებამ გა-  
მიელვა, მაშინვე გამახსენდა: ღმერთო ჩემო, ეს ხომ  
მენდელის მაგიდაა, იაკობ მენდელის, ბუკინისტ  
მენდელისა; მე ოცი წლის შემდეგ კვლავ მის მთა-  
წარ ბინაზე, კაფე „გლუკში“, ზემო ალზერშტრასე-  
ტე მიმიუვანა ბეღმა. როგორ მოხდა, რომ მე იაკობ  
მენდელი დამავიშუდა, რომ ასე დიდხანს ვერ მოვი-  
გონე ეს საოცარი ადამიანი და ლეგენდარული პი-  
როვნება, ეს მსოფლიო საკვირველება, განთქმული  
უნივერსიტეტსა და თაყვანისმცემლების ვიწრო  
წრეში — როგორ გამიქრა მეხსიერებიდან მაგიკო-  
სი და მაკლერი, რომელიც დილიზან საღამომდის  
გაუნძრევლად იჯდა აქ, ამ მაგიდასთან. — ცოდ-  
ნის სიმბოლო, კაფე „გლუკის“ დიდება და სინდისი.

მხოლოდ წუთით დამჭირდა თვალების მოხუჭვა,  
და ჩემს მეხსიერებაში მისი ნათელი პლასტიკური  
სახე წამოიმართა. იმ წუთში იგი ოთხკუთხა მაგი-  
დასთან მჯდომი წარმომიდგა; მაგიდაზე რუხი ფე-  
რის ჭუჭყიანი მარმარილოს დაფა იდო, რომელზე-  
დაც ყოველთვის წიგნები და ქაღალდები იყო და-  
ხვავებული. თვალწინ წარმომიდგა, თუ როგორ იჯ-  
და შეუშფოთებლად დღენიადაგ და სათვალიდან  
მოჯადოებულივით ჩაშტერებოდა წიგნს, იჯდა და  
კითხვისას მელოტ თავს აქნევდა, ოდნავ ირხეოდა,  
თან რაღაცას ბუტბუტებდა და დუდლუნებდა. ეს  
ჩვეულება ხედერიდან, ებრაელთა აღმოსავლურ  
დაწყებით სკოლიდან გამოჰყოლოდა. მხოლოდ და

მხოლოდ აქ, ამ მავიდაზე კითხულობდა იგი წიგნებსა და კატალოგებს, ისე, როგორც თალმელის კითხვა ასწავლეს მას, წყნარი ლილინითა და ოდნავი რწევით; როგორადაც ბავშვი ძილს მიეცემა და გარემომცველ სამყაროს ეთიშება ამ რიტმული რხებით, ასევე, ღვთისმოსავთა აზრით, სულაც ადვილად განესხვისება უქმად მყოფ სხეულს. და მართლაც, იაკობ მენდელი ვერც ხედავდა და არც ესმოდა, თუ რა ხდებოდა მის ირგვლივ. მის მახლობლად ხმაურობდნენ და ჩხუბობდნენ ბილიარდის მოთამაშეები, გარბოდნენ და გამორბოდნენ ოფიციანტები, წკრიალებდა ტელეფონი, რეცხავდნენ რატაკს. ახურებდნენ ღუმელს, იგი ვერაფერს ამჩნევდა. ერთხელ ღუმელიდან ნაკვერჩხალი გადმოვარდა, მენდელისაგან ორი ნაბიჯის დაშორებით დამწვრის სუნი ასდიოდა პარკეტს. პირველად კაფეს ერთ-ერთ კლიენტს ეცა დამწვრის სუნი და ოთახში-შეიჭრა, რათა ხანძარი სასწრაფოდ ჩაეჭრო: თვითონ იაკობ მენდელი კი სულ ახლოს იყო ცეცხლთან და ვერაფერს გრძნობდა, რაღვანაც ისეთი გატაცებით კითხულობდა, როგორც სხვები ლოცულობენ, როგორც აზარტული მოთამაშეები თამაშობენ და როგორც ღვინით გალეშილნი გასცერიან სიცარიელეს: ისეთი მგრძნობიარე თავდავიწყებით კითხულობდა, რომ მას შემდეგ სხვა ადამიანის მიერ წიგნის ყოველგვარი კითხვა პროფანაციაზე ჩეჩენება. იმ პატარა გალიციელი წიგნებით მოვაჭრე იაკობ მენდელში მე—ახალგაზრდა ადამიანმა—

პირველად დავინახე დაუნაწევრებელი კონცენტ-  
რირების დიდი საიდუმლოება. ეს ქმნის როგორც  
ხელოვანს, ასევე სწავლულს, ჰეშმარიტ ბრძენს  
ანდა ნამდვილ შლეგს, ტრაგიკული ბედნიერებით  
თუ უბეღურებით შეპყრობილს.

მასთან ჩემმა უფროსმა უნივერსიტეტელმა  
კოლეგამ მიმიყვანა. მაშინ მე ვსწავლობდი პარა-  
ცელსის მიმდევრის, დღესაც ნაკლებად ცნობილი  
ექიმისა და მაგნეტიზიორის მესმერის მოძღვრებას  
და, უნდა ითქვას, რომ ფრიად წარუმატებლად.  
რაღვანაც ძირითადი შრომები ამ საკითხზე საკმა-  
რისი არ აღმოჩნდა და ბიბლიოთეკარმა, რომელსაც  
ახალბედური გულუბრყალობით მივმართე, ბრა-  
ზიანად ჩაიბუზლუნა, რომ ლიტერატურის დასახე-  
ლება მე მმართებდა და არა მას. მაშინ ჩემმა კოლე-  
გამ პირველად ახსენა ბუკინისტის სახელი: — მე  
შენ მიგიყვან მენდელთან, — დამპირდა კოლე-  
გა, — მან ყველაფერი იცის და ყველაფერს გიშო-  
ვის, იგი უნიკალურ წიგნებს გაგიჩენს, რომელიც  
გნებავთ გერმანული ანტიკვარული მაღაზიიდან. ის  
ვენაში ყველაზე გონებაგახსნილი კაცია და ამას-  
თანავე ორიგინალურიც, პრეისტორიული „წიგნო-  
ზავრი“, გადაშენებული მოდგმის ერთადერთი წარ-  
მომადგენელი.

ორივემ ერთად გავწიეთ კაფე „გლუკისაკენ“.  
იგი იქ იჯდა, შავებში ჩაცმული, სათვალიანი და  
წვერმოშვებული. ჩვენ მას მივუახლოვდით, მაგრამ  
ის შეუნიშნავს. იგი იჯდა, ჭითხულობდა და სხე-

ულის ზედა ნაწილით ისე ირწეოდა, როგორც სა-  
თამაშოთოვინა, თავს რომ აყანყალებს. მის ზურგს  
უკან საკიდზე მოძველებული შავი პალტო ეკიდა,  
რომლის ჭიბეები უურნალებითა და წერილებით  
ცყო გამოტენილი. ბუკინისტის ყურადღება რომ  
მიექცია, ჩემმა მეგობარმა ხმამაღლა ჩაახველა, მაგ-  
რამ მენდელმა, რომელსაც სქელი სათვალე პირდა-  
პირ წიგნზე მიებჯინა, ვერ შეგვნიშნა. ბოლოს ჩემ-  
მა მეგობარმა მაგიდაზე ისე მავრად და ხმიერად  
დააკაკუნა, როგორაზაც ჩვეულებრივ კარებზე  
აკაკუნებენ ხოლმე. როგორც იქნა, მენდელმა თავი  
ასწია, ვეება ლითონის ჩარჩოიანი სათვალე მექა-  
ნიკურად შუბლზე აიწია და აბურძგნილ ნაცრის-  
ფერ წარბებიდან უცნაური თვალები მოგვაშტერა—  
პატარა, შავი, ცოცხალი თვალები, გველის ენასა-  
ვით სხარტი, წაგრძელებული და მსუსხავი. მეგო-  
ბარმა ჩემი თავი გააცნო და მეც ავუხსენი, რაც  
მინდოდა. ამასთანავე ჭერ — ამ ეშმაკობას ჩემი  
მეგობრის დაუინებული თხოვნით მივმართე — მო-  
ჩვენებითი სიბრაზით შევჩივლე, ბიბლიოთეკარმა  
ჩემი დახმარება არ ისურვა-მეთქი. მენდელი სკამის  
ზურგს მიეყრდნო და უზრუნველავ გადმოაფურთ-  
ხა. შემდეგ ჩაიქირქილა და აღმოსავლური აქცენ-  
ტით თქვა; — არ ისურვაო? არა, კი არ ისურვა,  
ვერ შესძლო! ის ქეციანი, ის დიდყურა ისა, ვიც-  
ნობ, ღმერთმა დასწუევლოს მისი თავი! უკვე კარგა  
ოცი წელიწადია, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არა-  
ფერი უსწავლია. მათი საქმე ხელფასის ჭიბეში ჩა-

ჩხრიალებაა, მეტი არა იციან რა. იმის მაგივრად, რომ ყიდვებს უსხდნენ, ეს პატონი დოქტორები აგურებს უნდა ათრევდნენ.

შენდელმა ლანძღვა-გინებით გული რომ იჯერა, ალერსიანად დამიჭნია ხელი და ოთხკუთხა, შეხიშვნებით აჭრელებულ მარმარილოს მაგიდასთან მიმიჯვია. ეს იყო ჩემთვის ბიბლიოთილურ საკვირველებათა ჯერ კიდევ უცნობი საკურთხეველი. მე ესჯრაფოდ მოვახსენე ჩემი თხოვნა; მინდოდა უახლესი ნაშრომები მაგნეტიზმის შესახებ, აგრეთვე წიგნები და პოლემიკური თხზულებანი მესმერის დასაცავად და მის ყინააღმდეგ. როგორც კი დავასრულე, მენდელმა წუთით მარცხენა თვალი მოჭუტა, სჭორედ ისე, როგორც ნიშანში მსროლელებმა იციან სროლის წინ. მხოლოდ ერთ წამს ფიქრობდა იგი, შემდეგ კი ისე, თითქოს უჩინარ კატალოგში კითხულობსო, ზედიზედ და სხაპასხუპით დამისახელა ოცი თუ ოცდაათი წიგნი. თან ურთავდა თითოეულის გამოცემის აღგილს, გამოცემის წელს და დაახლოებით ფასს. გაშტერებული ვიდექი. მიუხედავად იმისა, რომ წინასერალ გაფრთხილებული ვიყავი, ამას მაინც არ მოველოდი. ჩემმა გაოცებამ, ეტყობოდა, იგი გაახარა, რაღვანაც მან მახსოვრობის კლავიშებზე მაშინვე დაუკრა ჩემი თემის გასაოცარი ბიბლიოთეკარული ვარიაციები; თანაც დასძინა, ხომ არ გაინტერესებთ სომნამბულისტებისა და ჰიპნოზის პირველი ცდები, გასნერი, ეშმაკთა შელოცვა, ქრისტიანული მეცნიერება და ბლავატს-

ეიო? კვლავ სახელები) სათაურები, ცნობები შო  
მაყარა; ახლა კი მივხვდი, მახსოვრობის რა იშვიათ  
საოცრებას წავაწყდი იაკობ მენდელის სახით, მე  
ვიხილე მოარული ლექსიკონი, უნივერსალური კა-  
ტალოგი. მთლად გაშტერებული შევცვეროდი ამ  
ბიბლიოგრაფიულ ფენომენს, რომელიც შეუხედა-  
ვი, ტანმომცრო გალიციელი, წიგნით მოვაჭრის  
ბინძურ ნაჭუჭიში მოქცეულიყო. მას შემდეგ, რაც  
გარეგნული სიმშვიდით, მაგრამ შინაგანად ნამდვი-  
ლად კმაყოფილმა ოთხმოცამდე სახელწოდება ჩამი-  
რაკრაკა, სათვალის წმენდა დაიწყო ცხვირსახოცით,  
რომელიც, ეტყობოდა, ერთ დროს თეთრი იყო.  
იმისათვის, რომ როგორმე ჩემი გაკვირვება ოდნავ  
მაინც დამეფარა, მორიდებულად შევეკითხე, ამ  
წიგნებიდან ყოველ შემთხვევაში რომლის შოვნა  
შეგიძლიათ-მეთქი. — ვნახოთ, ვნახოთ, რა გამო-  
გვივა, — ჩაიბუტბუტა მან. — მოდით ხვალ, ამ  
დროისათვის. რაიმეს გიშოვით, და რასაც ვერ ვი-  
შოვი, ალბათ სხვაგან აღმოჩნდება. ვისაც ჰქუა  
უჭრის, მას ბედიც წყალობსო. მაღლობა გადავუ-  
ხადე და მომეტებული ზრდილობის გამო დიდი სი-  
სულელეც ჩავიდინე, როდესაც მას ჩემთვის საჭი-  
რო წიგნების სათაურების თურცელზე ჩამოწერა  
შევთავაზე. იმავე წუთში ჩემი მეგობრის მუჭლუ-  
გუნი ვიგრძენი, მაგრამ უკვე გვიან იყო! მენდელმა  
მოასწრო ჩემთვის შემოეხედა და მერე როგორი  
თვალით! ეს იყო ერთდროულად მოზეიმე და ამავე  
დროს შეურაცხყოფილი შემოხედვა, დამცინავი და

აშავე დროს აღმატებული, სწორედ რომ შეფური; და მე ამ დროს გამახსენდა, როგორ შეხედა შექს-პირის მაკბეტმა მაკდუფს, რომელმაც უძლეველ გმირს შესთავაზა, უბრძოლველად დამნებდიო. მენ-დელმა კვლავ ჩაიქირქილა და ყელში დიდი ხვანჩი აუთამაშდა, ეტყობოდა, ჩემთვის გამზადებული სა-ლანძღავი სიტყვა ძლივს გადაყლაპა. ღირსიც ვი-ყავი გალანძღვისა. ეს მხოლოდ უცნობს, უმეცარს („ამმორეც!“-ს, როგორც თვითონ ამბობდა) შეეძ-ლო ასეთი წინადადებით მიემართა და მერე ვის-თვის, იაკობ მენდელისათვის, იაკობ მენდელისა-თვის, ისე თითქოს ის ბუკინისტური მაღაზიის შეგირდი, ან არადა ბიბლიოთეკარი ყოფილიყო, ოთქოს ამ შეუდარებელ წიგნების მაგიკოსს ამგვა-რი უხეში დამხმარე საშუალება როდისმე დასჭირე-ბოდეს. მხოლოდ გვიან მივხვდი, თუ რარიგ ძლიერ შეურაცხვავი ეს ცხოვრებისაგან განზე განმდგა-რი გენიოსი ჩემი თავაზიანი თხოვნით, რადგანაც ეს პატარა, შეუმჩნეველი, მთლად წვერში ჩამალუ-ლი და ამასთანავე კუზიანი გალიციელი ებრაელი იაკობ მენდელი მეხსიერების ტიტანი იყო. ამ ჭუჭ-ყიან, თითქოსდა რუხი ხავსით დაფარულ შუბლზე აღბეჭდილი იყო ყოველი წიგნის სათაური. მან იცოდა ყველა წიგნის, ახლად გამოსულის თუ ორა-სი წლის წინათ გამოქვეყნებულის გამოცემის ად-გილი, ავტორი, ფასი ახალი და ფასი ბუკინისტური. უშეცდომოდ ახსოვდა აგრეთვე ყველა წიგნის ყდა, ილუსტრაციები და ფაქსიმილე, რომელიც მას

თვითონ ხელში სჭერია, ან არადა ვიტრინაში თუ  
ბიბლიოთეკაში შეუმჩნევია; ისეთივე ნათელი ოპ-  
ტიკური სიზუსტით ხედავდა, როგორადაც შემოქ-  
მედი ხელოვანი შინაგანი თვალთახედვით ამჩნევს  
ჯერ კიდევ სხვებისთვის დაფარულ სახეებს. თუკა  
კატალოგში რეგენბურგელი ბუკინისტის ყიდნი ექვს  
მარკად ფასობდა, იგი იმყოფშივე გაიხსენებდა, რომ  
იგივე წიგნის სხვა ეგზემპლარი ორი წლის უკან  
ვენის აუქციონზე ოთხ კრონად გაიყიდა და ამას-  
თანავე დაუმატებდა, ვინ შეიძინა იგი. არა, იაკობ  
შენდელი არ ივიწყებდა არც ერთ სათაურს, არც  
ერთ თარიღს, მან იცოდა ყველა მცენარე, ყველა  
ინფუზორია, ყველა ვარსკვლავი წიგნის სამყაროს  
კვალებად კოსმოსში. ყოველ მეცნიერებაში მას  
მეტი ესმოდა, ვიდრე სპეციალისტს. იგი ბიბლიო-  
თეკას ბიბლიოთეკარებზე უკეთესად იცნობდა. მან  
ზეპირად და უკეთ იცოდა, რომელ ფირმას სად  
რა საწყობი ჰქონდა, ვიდრე ეს თვით ამ ფირმე-  
ბის მფლობელებმა იცოდნენ, მიუხედავად თავიან-  
თი სიებისა და კარტოტეკებისა. მენდელი მხოლოდ  
და მხოლოდ მახსოვრობის მაგიურ ნიჭი ეყრდნო-  
ბოდა, თავის შეუზარებელ მახსოვრობას. რასა-  
კვირველია, მენდელის მეხსიერებას ასეთი დემო-  
ნური შეუცვლომლობით გაწრთვნა და დახვეწა შე-  
ეძლო ყოველგვარი სრულქმნილების მარადიული  
სიღუმლოს მეშვეობით: ყურადღების კონცენტრა-  
ციის მეშვეობით. სხვათა შორის, ამ გასაოცარმა  
ადამიანმა წიგნების მეტი არა იცოდა რა ქვეყანაზე,

რაღვანაც ცხოვრების მოვლენები მხოლოდ მაშინ  
ხდებოდა მისთვის ნამდვილი, როცა ეს მოვლენები  
ასოებად ჩამოიქნებოდა, ერთ წიგნში მოიყრიდა  
თავს და დაიწმინდებოდა. მაგრამ თვით წიგნებს  
მენდელი მათი აზრის, მათი იდეური და მხატვრუ-  
ლი შინაარსის მიხედვით არ კითხულობდა. მას  
მხოლოდ მათი სათაურები, მათი ფასი, მათი ფორ-  
მატი, მათი თავთურცელი იტაცებდა. უაღრესად  
არაპროდუქტული და ბოლოს და ბოლოს შემოქ-  
ჩედებით საწყისს მოკლებული იყო მხოლოდ ასი-  
ათასობით წიგნის სახელწოდებათა და ავტორების  
დამახსოვრება, რომლებიც აღამიანის რბილი ტვი-  
ნის ქერქზე ისე იყო აღბეჭდილი, როგორც ჩვეუ-  
ლებრივ კატალოგებშია ხოლმე. იაკობ მენდელის  
ეს სპეციფიკური ბუკინისტური მეხსიერება თავისი  
განუმეორებელი სრულქმნილებით არ ჩამოუვარ-  
დებოდა ნაპოლეონის მიერ აღამიანთა სახეების  
დამახსოვრების უნარს, მეცოფანტის მეხსიერებას  
უცხო ენების შესწავლისას, ლასკერის ჭაღრაკის  
ღებიუტების დამახსოვრებასა და ბუზონის მუსიკა-  
ლურ მეხსიერებას. თუკი მენდელს სამოსწავლო,  
ან სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებაში გამოი-  
ყენებუნენ, მის ტვინს შეეძლო განეცვიფრებინა  
ათასობით, ასიათასობით სტუდენტი და სჭავალული,  
იგი იქნებოდა შეუდარებელი მონაპოვარი მეცნიე-  
რებისათვის და იმ საზოგადოებრივი საგანძურისა-  
თვის, რომელსაც ჩვენ ბიბლიოთეკას ვუწოდებთ.  
მაგრამ პატარა, გაუნათლებელი გალიციელი ბუ-

კინისტისათვის, რომელმაც იმაზე ცოტი შეტი იცოდა, რაც თალმუდის სკოლაში ასწავლეს, ეს ზედა სფერო სამუდამოდ დახშული იყო. ამიტომაც ეს ფანტასტიკური უნარი შეიძლებოდა გამომუღავნებულიყო კაფე „გლუკში“, იმ მარმარილოს მაგიდასთან. თუკი ერთხელაც ვამოჩნდება დიდი ფსიქოლოგი (ჩვენ სულიერ სამყაროს ჯერ კიდევ აკლია მისი ხელი) და ბიუთონივით, რომელმაც მტკიცედ და გაბედულად მოახდინა ცხოველების კლასიფიკაცია, თავის მხრივ მაგიური ძალის მეხსიერების ყველა ნაირსახეობას, თვისებას, პირველყოფილ ფორმას ცალ-ცალკე აღწერს და ვარიანტების მიხედვით დაალაგებს, მაშინ მან უეჭველად უნდა ვაიხსენოს იაკობ მენდელი, წიგნების ფასთა და სახელწოდებათა გენიოსი, ბუკინისტური მეცნიერების ეს უსახელო დიდოსტატი.

უმეცართათვის იაკობ მენდელი მხოლოდ წიგნების წვრილმან ვაჭრად ითვლებოდა. ყოველ კვირას „ნოიე ფრაიე პრესეში“ და „ნოიერ ვინერ ტაგბლატში“ ქვეყნდებოდა ერთი და იგივე სტერეოტიპული განცხადებები: „ვყიდულობ ძველ წიგნებს, ვიძლევი კარგ ფასს, გამოძახებისთანავე მოვდივარ სახლში. მენდელი, ზემო აღმარტინასე“, და შემდეგ ამას მოსდევდა ტელეფონის ნომერი, რომელიც სინამდვილეში კაფე „გლუკს“ ეკუთვნოდა. იგი წიგნის საწყობებებში იქექებოდა და მოხუცი შიკრიკის დახმარებით, რომელსაც წვერი ავსტრიის იმპერატორივით მოეშვა, ალაფს თავის მთავარ ბინა-

ზე მიათრევდა და იქიდან კვლავ სხვა გზას გაუყენებდა, რადგანაც წიგნით ვაჭრობაზე სათანადო ნებართვა არა ჰქონდა, ამიტომაც იგი წვრილმანი, უმნიშვნელო ვაჭრობით კმაყოფილდებოდა. სტუდენტები მას თავის სახელმძღვანელოებს მიჰყიდიდნენ ხოლმე და ეს წიგნები მენდელის ხელიდან წლების მანძილზე ზემო კურსელებიდან დაბალ კურსელებამდე მოგზაურობდა. შეკვეთილ წიგნებსაც ეძებდა მენდელი და ოდნავი ფასის მომატებით ყიდდა. რჩევა-დარიგებას ეს ბუკინისტი იაფალ იძლეოდა. მის სამყაროში ფული დიდად არ ფასობდა, რადგან მას ყოველთვის ერთი და იგივე გაცვეთილი პიჯაკი ეცვა. დილით, ნაშუადლევს და სალამოთი რძეს სვამდა და თან ორ პატარა ფუნთუშას შეატანდა, ლარიბულად საღილობდა, ულუფა მახლობელ რესტორნიდან მოჰქონდათ მისთვის. პაპიროსს არ ეწეოდა, არ თამაშობდა, შეიძლება ითქვას, არც ცხოვრობდა. სათვალის მიღმა ცოცხლობდა მხოლოდ ორი თვალი, რომელიც ამ თავისებურ ტვინს სიტყვებით, სათაურებით და სახელწოდებებით გამუდმებით ქვებავდა, და სათუთი, ნაყოფიერი ფენა ტვინისა ხარბად იწოვდა ამ დოვლათს, ისე როგორც მინდორი ათასობითა და ათიათასობით წვიმის წვეთებს. აღამიანები მას არ აინტერესებდა და აღამიანურ ვნებათაგან მისთვის ახლობელი და გასაგები იყო მხოლოდ ყველაზე უფრო აღამიანური ვნება—ჰეტივმოყვარეობა. როდესაც მასთან რაიმე ცნობის მისაღებად მოღიოდნენ, ამაღდ რომ დამაშვრალი-

ყველა ათას ადგილას მისი ძებნით, და შას რომ მა-  
შინვე შეეძლო პასუხის გაცემა, მხოლოდ ესეც კი  
გვრიდა მენდელს უდიდეს სიამოვნებას. დიდად  
უხაროდა აგრეთვე ისიც, რომ ვენაში და მის ვარე-  
თაც იყვნენ ათეული ადამიანები, რომლებიც მის  
ცოდნას აფასებდნენ და საჭიროებდნენ. ყოველ  
ამ უხეშ მრავალმილიონიან კონგლომერატში, რო-  
მელსაც ჩვენ დიდ ქალაქს ვუწოდებთ, ყოველთვის  
არის დამთხვევის წერტილები; ისინი ერთსა და იმა-  
ვე სამყაროს ასახავენ პატარინა მონაკვეთზე, რაც  
უმეტესობისთვის შეუმჩნეველია, ძვირფასია მხო-  
ლოდ განდობილისათვის, რაიმე მისწრაფებია თა-  
ნამოძმისათვის. წიგნების ამ მოყვარულებმა ყველამ  
იცოდა იაკობ მენდელი. ისევე როგორც მუსიკა-  
ლურ ნაწარმოებზე რჩევის მიღების მსურველს,  
მუსიკის მოყვარულთა საზოგადოებაში პატარა  
რუსეულიან ევზებიუს მანდიშევსკისთვის უნდა მი-  
ემართა, რომელიც საქალალდებსა და ნოტებს შო-  
რის იჯდა, და მუსიკის ურთულეს პრობლემებს ლი-  
მილით ხსნილა. ისევე როგორც დღეს, ვინც ძველი  
ვენის თეატრისა და კულტურის შესახებ ახსნა-გან-  
მარტებას საჭიროებს, აუცილებლად ყოვლისმცოდ-  
ნე მოხუც გლოსის მიაკითხავს, ასევე, ვენელი ბიბ-  
ლიოფილები კაფე „გლუკისაკენ“ გასწევუნენ, რო-  
დესაც რაიმე ძნელი საკითხი წამოიჭრებოდა მათ  
წინაშე. ასეთი კონსულტაციის დროს მენდელის შე-  
ხედვა ერთ რამედ ლირდა და ეს მე, ახალგაზრდა  
ცნობისმოყვარე ადამიანს, განსაკუთრებულ სია-

მოვნებას მანიჭებლა. თუკი მას შედარებით უმნიშვნელო წიგნს შესთავაზებლნენ, იგი წიგნს ზიზლით დახურავდა და წაიბუტბუტებდა: „ორი კრონი“. მაგრამ დაინახავდა თუ არა იშვიათ ეპზემპლარს ან უნიკუმს. მოკრძალებით სკამს უკან გასწივდა, წიგნს ქვევით ქალალდს დაუფენდა და შესამჩნევი ხდებოდა. რომ თავისი ჭუჭყიანი, მელნით დასვრილი შავთრჩხილებიანი თითების ერცხვინებოდა. შემდეგ იგი იწყებდა ნაზი სიფრთხილით და უსაზღვრო პატივისცემით იშვიათი წიგნის ფურცელ-ფურცელ გადაშლას. ვერავინ გაბედავდა ამ დროს მისთვის ხელის შეშლას. ისე როგორც ჭეშმარიტად მორწმუნეს ლოცვის-დროს მყუდროებას ვერ დაურღვევენ. და ამ თვალიერებას. შეხებას. დაყნოსვას და აწონ-დაწონას მკაცრი რელიგიური წესებით შესრულებული ცერემონიალის სახე ჰქონდა. კუზიანი ზურგი აქეთ-იქით მოძრაობდა. ამავე დროს მენდელი ბუტბუტებდა და ლულლულებდა. თავს ითხანდა, უცნაურ ბგერებს, ალფროთოვანების გამომხატავ გაგრძელებულ. თითქმის შეშინებულ „აჲ“ და „ოჲ“-ს წარმოთქვამდა და როდესაც ამოხეულ, ან ჭიისაგან შეჭმულ ფურცელს წააწყდებოდა, კვლავ შეშინებული სწრაფად „ოი“ ან „ოივე“-ს მიაყოლებდა. ბოლოს იგი წიგნს მოკრძალებით ხელში ასწონიდა და თვალდახუჭული ოთხკუთხედ ყდაში ჩასმულ ტომს ისე დაყნოსავდა, როგორც სენტიმენტალური გოგონა — ტუბეროზას. ამ ხანგრძლივი პროცედურის დროს, რასაკვირ-

ველია, წიგნის პატრონი მოთმინებით უნდა აღჭურ-  
ვილიყო. 'გასინჯვის დასრულების შემდეგ მენდელი  
ხალისიანად, შეიძლება ითქვას, აღფრთოვანებუ-  
ლიც კი აწვდიდა ცნობებს წიგნის მფლობელს.  
ჩვეულებრივ ეს საუბარი მრავალმნიშვნელოვან  
ანეკდოტებსა და დრამატულ შემთხვევებს შეიცავ-  
და მსგავსი ეგზემპლარის ფასის შესახებ. იმ წუთ-  
ში იგი მხიარული, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე  
ჩანდა, და მხოლოდ ერთ რაიმეს შეეძლო მისი  
უსაზღვროდ გაბრაზება: როდესაც ვინმე ახალბედა  
ამ კონსულტაციისათვის გასამრჯელოს შესთავაზებ-  
და, მაშინ იგი შეურაცხყოფილი ისე დაიხევდა უკან,  
როგორც სურათების გალერეის კონსულტანტი,  
რომლისთვისაც ამერიკელმა ტურისტმა ახსნა-გან-  
მარტებისათვის ხელში საჩუქრად ფულის ჩაჩრა  
მოისურვა. მენდელისათვის ძვირფასი წიგნის ხელ-  
ში დაჭირა იმასვე ნიშნავდა, რასაც სხვისთვის ქალ-  
თან შეხვედრა. ეს წუთები მისთვის პლატონური  
სიყვარულით აღსავსე დღეები იყო. მხოლოდ წიგ-  
ნი ახდენდა მასზე ზემოქმედებას და არა ფული.  
ამაოდ ცდილობდნენ დიდი კოლექციონერები, მათ  
შორის პრინსტაუნის უნივერსიტეტის დამაარსე-  
ბელი, მენდელი ბიბლიოთეკის მრჩევლად და შემ-  
სყიდველად მიეწვიათ. იაკობ მენდელი ყოველთვის  
უარს ამბობდა: მისი წარმოდგენა სხვაგან არსად არ  
შეიძლებოდა, თუ არა კათე „გლუკში“. ოცდაცამე-  
ტი წლის წინათ პატარა, შეუხედავი ბიჭი, რო-  
დესაც მას ჯერ კიდევ რბილი, შავი ღინძლი ჰქონ-

და წვერის ნაცვლად, და შუბლზე ქოჩორი ჩამო-  
ულოდა, აღმოსავლეთიდან ვენაში ჩამოვიდა, რათა  
რაბინისათვის საჭირო განათლება მიეღო. მაგრამ  
მალე მან მკაცრ ერთპიროვნულ ღმერთს იე აოვა  
ზურგი აქცია, რათა წიგნების ათასპიროვან მრავალ-  
ღმერთიანობას ზიარებოდა. მაშინ აღმოაჩინა მან  
პირველად კაფე „გლუკი“, რომელიც თანდათან მის  
სახელოსნოდ, მის მთავარ ბინად, მის სამსახურად  
და მის სამყაროდ იქცა. როგორც ასტრონომი მარ-  
ტოდმარტო ობსერვატორიაში ტელესკოპიდან დღე-  
დაღამ თვალყურს ადევნებს აურაცხელ ვარსკვლა-  
უებს, მათ საიდუმლო მოძრაობას, მათ გადამკვეთ  
გზებს, მათ გაქრობასა და კვლავ ანთებას. ასევე  
იყურებოდა იაკობ მენდელი სათვალით თავის ოთხ-  
კუთხები მაგიდიდან წიგნების სამყაროში. ჩვენ  
სამყაროსთან შედარებით მოძრავსა და აღმატებულ  
სამყაროში.

თავისთავად ცხადია, კაფე „გლუკში“ დიდად  
აფასებდნენ მენდელს. ამ კაფეს დიდება ჩვენთვის,  
წიგნების მოყვარულთათვის უფრო მეტად დაკავ-  
შირებული იყო უხილავ კათედრასთან, ვიღრე დი-  
დი მუსიკოსის, „ალცესტისა“ და „იფიგენიას“ შემ-  
ქმნელ — კრისტოფ ვილიბალდ გლუკთან, რომლის  
სახელიც ერქვა კაფეს. მენდელი ისევე წარმოად-  
გენდა კაფეს ინვენტარის ნაწილს, როგორც ალუბ-  
ლის ხის სალარო, როგორც ორი ძლიერი გადაქექი-  
ლი ბილიარდი, ანდა სპილენძის ყავადანი. მენდე-  
ლის მაგიდა ისე იყო დაცული როგორც წმინდა რამ.

მის მრავალრიცხოვან მყიდველებსა და კლიენტებს კაფეს მომსახურე პერსონალი სიხარულით ხვდებოდა. რაღანაც ესენი ჩვეულებრივ რაიმეს დაუკვეთავდნენ ხოლმე ოფიციანტებს და ისე ხდებოდა, რომ მენდელის საქმიანობის წყალობით მოპოვებული მოგების დიდი ნაწილი საკუთრივ ობერკალნერის — დოიბლერის ფართო, წელზე ჩამოკიდებულ ტყავის ჩანთაში ჩაღიოდა. ამიტომაც ბუკინისტი მენდელი მრავალი პრივილეგიით იყო აღჭურვილი: თავისუფლად სარგებლობდა ტელეფონით. აქვე იღებდნენ მისთვის კორესპონდენციებსა და დაკვეთებს. მოხუცი დამლაგებელი ქალი პალტოს უწმენდდა. ლილებს უკერებდა და კვირაში ერთხელ მისი თეთრეული გასარეცხად მიჰქონდა ფუთით შეკრული. მხოლოდ მენდელს ჰქონდა ნება, მეზობელ რესტორნიდან მისთვის სადილი მოეტანათ. ბატონი შტანდჰარტნერი — კაფეს მფლობელი, ყოველ დილით თვითონ ეახლებოდა იაკობს ლა მშვიდობის დილას უსურვებდა. (მეტწილად წიგნებში თავჩარგული მენდელი ვერც კი ამჩნევდა ამას). მენდელი ზუსტად დილის რვის ნახევარზე მოდიოდა კაფეში და მხოლოდ მაშინ მიდიოდა იქიდან. როდესაც სინათლეს ჩაქრობდნენ. სხვა კლიენტებს იგი არ ესაუბრებოდა. გაზეთებსაც არ კითხულობდა. ვერავითარ ცვლილებას ვერ ამჩნევდა თავის გარშემო და როდესაც ერთხელ ბატონი შტანდჰარტნერი თავაზიანად შეეკითხა. ელექტრონის შუქზე უკეთ კითხულობთ თუ მოფარფარე გა

ზის სინათლეზეო, გაკვირვებული მენდელი ელექტრონათურას მიაშტერდა... ელექტროსამუშაოებს, მიუხედავად ხმაურისა და ჩაქუჩის რახუნისა, რომელიც კარგა წანს გავრძელდა, მისთვის შეუმჩნევლად ჩაევლო. მხოლოდ სათვალის ორი მრგვალი, მოელვარე და შთანმთქავი ლინზის საშუალებით აღწევდნენ მის ტვინში მილიარდობით შავი ინფუზორიები — ასოები. სხვა ყველაფერი, რაც კი გარშემო ხდებოდა, ცარიელ ნაკადად მიეღინეაოდა მის გვერდით. ოცდაათ წელზე მეტი, ე. ი. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, მან ამ ოთხკუთხედ მავიდასთან კითხვასა, შედარებებსა, ანგარიშში გაატარა, და მხოლოდ ძილი სწყვეტდა ამ სიზმარისეულ არსებობას. რაც მთლიანად მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს.

ამიტომაც ერთგვარმა შიშმა შემიპყრო. როდესაც იაკობ მენდელის მარმარილოს მაგილა ოთახში სასაფლაოს ქვასავით მიტოვებული დავინახე ჰირველად ახლა, მოწიფულობაში მივხედი, თუ რამდენი რომ ქრება ადამიანის გაჭრობასთან ერთად, იმიტომ რომ ყოველივე, რაც კი ერთხელ არსებულა და გამქრალა, ჩვენთვის დღითი დღე უფრო ძვირფასი ხდება, ჩვენს უსაშველოდ ერთფეროვან სამყაროში. ახალგაზრდა. გამოუცდელმა კაცმა ურმა გრძნობით შევიყვარე იაკობ მენდელი და მიუხედავად ამისა, მაინც შევძელი მისი დავიწყება. მართალია, ეს იყო ომის წლები: და ამას გარდა, ჩემი საქმით ვიყავი გატაცებული, მაგრამ მაინც ახლა

აში ცარიელი მავიღის წინაშე ერთდროულად სირც-ხვილიც ვიგრძენი და განახლებული ცნობისმოყვა-რეობაც.

ნეტავ საღ დაიკარგა, რა დაემართა მენჯელს? კელნერს დაუუძახე და ვკითხე. მაგრამ სამყუხა-როვ, ბატონ მენდელს იგი არ იცნობდა: — ამდა-გვარი არავინ დაიარება კაფეშიო. შესაძლოა ობერ-კელნერმა იცოდეს რაიმე. ობერ-კელნერმა ძლივს მოათრია თავისი ლიპი, დაფიქრდა, შეუყოყმანდა. არა, მისთვისაც უცნობი იყო ბატონი მენდელი. მაკრამ, შესაძლოა, მე ბატონ მანდლს ვკულისხმობ, ბატონ მანდლს, საგალანტერიო მაღაზიის მფლო-ბელს ფლორიანგასეზე? სიმწარის გემო ვიგრძენი ტუჩებზე, გემო საწუთროს წარმავლობისა: რილას-თვის ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე, თუკი ფეხის აღე-ბისთანავე ქარი ჩვენს უკანასკნელ ნაკვალევსაც წაშლის? ოცდაათი წელი, შესაძლებელია ორმო-ციც, ამ ორიოდ კვადრატულ მეტრ ოთახში კაცი სუნთქვავდა, კითხულობდა, ფიქრობდა, ლაპარაკობ-და და საკმარისი აღმოჩნდა სამი წელი, თუნდაც ოთხი (ახალი ფარაონი მოვიდა და მან არაფერი იცოდა იოსებისა) კაფე „გლუკში“ არა იცოდნენ რა იაკობ მენჯელის, ბუკინისტ მენდელის შესახებ. თითქმის გაჭავრებული ვკითხე ობერ-კელნერს, ხომ არ შეიძლებოდა ბატონი შტანდჰარტნერი მენახა, ანდა ვინმე კაფეს ძველი მომსახურე პერსონალი-დან? ოჭ, ბატონი შტანდჰარტნერი, ღმერთო ჩემო, მან დიდი ხანია კაფე გაყიდა, იგი გარდაიცვალა;

ხოლო ძველი ობერ-კელნერითავის პატარა მამულ-ში ცხოვრობს, ქალაქ კრემსის მახლობლად. არა, აღარავინ დარჩენილა აქ... თუმც... ჰო, მართლა, ფრაუ შპორშილი ხომ აქაა, დამლაგებელი ქალი. მაგრამ, რასაკვირველია, თითოეულ კლიენტს იგი ვერ დაიმახსოვრებდა. მე კი იმწუთსავე გავიფიქ-რე: იაკობ მენდელის დავიწყება შეუძლებელია-მეთქი და ვთხოვე ჩემთან მოეყვანათ ფრაუ შპორ-შილი...

ფრაუ შპორშილი, გაწეწილი, თეთრთმიანი ქა-ლი, რომელსაც წყალმანკისაგან ფეხები დასიებო-და, ხელების წმენდით მომიახლოვდა: ალბათ იატაკს ხვეტავდა ან არადა ფანჯრებს სწმენდდა. შემკრთალ გამოხედვაზე იმავე წუთს შევატყვე: მას არ ესია-მოვნა ასე მოულოდნელად ელექტრონით გაკაშკა-შებულ კაფეს წინა დარბაზში რომ გამოიძახეს. პირ-ველად მან უნდობლად წარბებს ქვემოდან შემომ-ხედა, ისე, თითქოს ფიქრობდა, სასიკეთოს რას მე-ტყვისო. მაგრამ, როგორც კი იაკობ მენდელი ვახ-სენე, იგი გაფართოებული თვალებით მომაშტერ-და და მხრები აწურა:—ღმერთო ჩემო, საწყალი ბა-ტონი მენდელი. ნუთუ იგი კიდევ ვინმეს ახსოვს!— თითქმის ტიროდა, ისე იყო აღელვებული. ყო-ველთვის ასე მოსდით ხოლმე მოხუცებს, როდესაც გათ ახალგაზრდობას ან რომელიმე სასიამო მივიწყებულ მოგონებას შეახსენებენ. ვკითხე, ცოცხა-ლია თუ არა მენდელი-თქო. — ო, ღმერთო ჩემო, საწყალი ბატონი მენდელი, ხუთი თუ ექვსი, არა

შვილი წელი იქნება, რაც გარდაიცვალა. ისეთი სა-  
ყვარელი, კეთილი აღამიანი იყო. ოცდახუთ წელ-  
ზე მეტიც იქნება, რაც მას ვიცნობდი; იგი ხომ აქ  
დამხვდა, როდესაც მოვედი. პირდაპირ სამარცხვი-  
ნოა, როგორ მოჰკლეს იგი. — ქალს თანდათან  
აღელვება დაეტყო, მკითხა, მენდელის ნათესავი  
ხომ არ ვიყავი. მისი ჯავრი არავის ჰქონდა, არავინ  
დაინტერესებულა მისი ბედით — ნუთუ მე არ ვი-  
ცოდი, რა ბედი ეწია მას?

არა, არაფერი ვიცი-მეთქი, გამოვტყდი და  
უთხოვე ეამბნა ყოველივე. სათნო მოხუცი შეშინე-  
ბული და შემკრთალი მიყურებდა და ისევ სველ  
ხელს იშშრალებდა: მივხვდი, რომ დამლაგებელ  
ქალს თავისი ჭუჭყიანი წინსაფრითა და გაწეწილი  
თეთრი თმით შუა დარბაზში დგომა ერცხვინებოდა,  
ამასთანავე იგი შეშინებული აქეთ-იქით იცქირე-  
ბოდა, რომელიმე ოფიციანტი ყურს ხომ არ გვიგ-  
დებსო. ამიტომაც წინადადება მივეცი სათამაშო  
ოთახში გავსულიყავით, მენდელის ძველ ადგილ-  
სამყოფელოში, და იქ ყველაფერს მომიყვებოდა.  
მან, მადლიერების გრძნობით ალვსილმა, თავი და-  
მიქნია. მოხუცი წინ წამიძღვა, ქალი ძლივს მილას-  
ლასებდა. ოფიციანტები გაკვირვებით გვიყურებდ-  
ნენ, გუმანით გრძნობდნენ, რომ ჩვენ რაღაც ძველი  
ამბავი გვაკავშირებდა. ასევე გაოცებით გაგვაყო-  
ლა თვალი კაფეს ზოგიერთმა კლიენტმაც — ამ  
აშკარად შეუფერებელ წყვილს. და იქ, მენდელის  
მაგიდასთან ქალმა მომითხრო (ზოგიერთი წვრილ-

მანები შემდეგ შევავსე სწვა წყაროებიდან) იაკობ  
მენდელის, ბუკინისტ მენდელის ოლსასრულის ამ-  
ბავი.

— მენდელი, — მომითხრობდა ქალი, — ომის  
შიუხედავად, მაინც კვლავინდებურავ ყოველდღიუ-  
რად დილაადრიან რვის ნახევარზე მოღიოდა კაფე-  
ში. ზუსტად ერთსა და იმავე ადგილას იჯდა და  
მთელი დღის განმავლობაში წიგნებში იყო ჩაფ-  
ლული. ჩვენ შევამჩნიეთ და ამაზე ხშირად გვილა-  
პარაკია კიდეც, რომ მენდელს ომის შესახებ არა  
შეუტყვია რა. მე ხომ ვიცი, არასოდეს გაზეთებში  
არ იხედებოდა და არც მასლაათი უყვარდა. მაგრამ  
მაშინაც კი, როცა გაზეთის გამყიდველები გამყივა-  
ნი ხმით სპეციალურ ნომრებს ყიდდნენ და ხალხი  
გაზეთებს იტაცებდა, მენდელი განაგრძობდა მაგი-  
ლასთან ჯდომას და თითქოს არც ესმოდა ეს ლრიან-  
ცელი. მან ისიც ვერ შეამჩნია, რომ ოფიციანტი  
ფრანცი ალარ ჩანდა (იგი გორლიცესთან დაიღუპა),  
არც ის იცოდა, რომ ბატონ შტანდჰარტნერის ვაჟი  
პერემიშლთან ტყვედ ჩავარდა. მენდელს არასოდეს  
კრინტი არ დაუძრავს იმის შესახებ, რომ პური სულ  
უფრო და უფრო ძვირდებოდა, რომ მას რძის მა-  
გივრად ნაწურს აძლევდნენ. მხოლოდ ერთხელ შე-  
ნიშნა გაკვირვებულმა, რომ ახლა რაღაც ძალიან  
ცოტა სტუნენტი მოღისო, ეს იყო და ეს. ღმერთო  
ჩემო, საწყალი კაცი. არასოდეს არაფერს გაუხა-  
რებია და დაუნალვლიანებია თავისი წიგნების გარ-  
და.

მაგრამ ერთ დღეს უბედურება მოხდა: დილის  
თერთმეტ საათზე, დღისით-მზისით პოლიციელი  
მოვიდა და თან აგენტი მოჰყვა, რომელმაც საღი-  
ლესთან დამაგრებული პოლიციის საიდუმლო ნი-  
შანი გვიჩვენა და იკითხა, აქ ვინმე იაკობ მენდელი  
დაიარება თუ არაო. შემდეგ ისინი მენდელის მაგი-  
დასთან მივიღნენ. მენდელმა ჯერ იფიქრა, შეიძლე-  
ბა წიგნების გაყიდვა, ანდა რაიმეს კითხვა სურთო.  
მაგრამ, მათ მაშინვე სთხოვეს მენდელს გაჰყოლო-  
და. ჩვენი კაფესათვის ეს ნამდვილად სამარცხვინო  
ამბავი იყო, ხალხი საწყალ ბატონ მენდელს შემოე-  
ხვია, იგი იდგა პოლიციელებს შორის, სათვალე  
შუბლზე აეწია და აქეთ-იქით იყურებოდა, ხან  
ერთს შეხედავდა, ხან მეორეს, კარგად არც კი  
იცოდა, რა სურდათ მისგან. ქალს მაშინვე პოლიცი-  
ელისათვის ეთქვა, ეს შეცდომა იქნებაო, ისეთი  
ადამიანი, როგორიც ბატონი მენდელია, ბუზსაც  
არ ააფრენსო. მაგრამ აგენტს ქალისთვის დაეყვირა,  
სხვის საქმეში ნუ ერევიო. შემდეგ მენდელი წაი-  
ყვანეს და დიდი ხნის განმავლობაში არ გამოჩენი-  
ლა. მთელი ორი წელიწადი. — ქალმა დღესაც არ  
იცოდა კარგად, თუ რა სურდათ მაშინ მენდელისა-  
გან. — მაგრამ მე შემიძლია დავიფიცო, — თქვა  
მოხუცმა ქალმა აღელვებით, — ბატონ მენდელს  
არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, ისინი შეცდ-  
ნენ, თუ გინდათ, ნიძლავს დავდებ. ეს დანაშაულია,  
საწყალი, უდანაშაულო ადამიანის მიმართ დიდი  
დანაშაულია!

შართალი იყო კეთილი, გულშემატკივარი ფრაუ  
შპორშილი. ჩვენს მეგობარს, იაკობ მენდელს ნამ-  
დვილად რომ უსამართლობის ჩადენა არ შეეძლო  
(მხოლოდ გვიან შევიტყე დაწვრილებით). მან გა-  
საგიუებელი, გულისამაჩუყებელი, იმ არეული  
დროის კვალობაზეც კი მთლად საარაკო სისულელე  
ჩაიღინა, რაც მხოლოდ იმათვისაა გასაგები, ვინც  
ამ ცხოვრებისაგან განდგომილ არაამქვეყნიურ არ-  
სებას იცნობდა. ეს ამბავი ასე მომხდარიყო: სამ-  
ხედრო ცენზურამ, რომელიც ვალდებული იყო  
საზღვარგარეთ გაგზავნილი წერილები გაესინჯა,  
ერთ დღეს ლია ბარათი დაიჭირა, დაწერილი და  
ხელმოწერილი ვინმე იაკობ მენდელის მიერ. ყვე-  
ლაფერი რიგზე იყო საზღვარგარეთ გასაგზავნ წე-  
რილში, მხოლოდ გასაოცარი ის იყო, რომ ლია ბა-  
რათი მტრულ ქვეყანაში იგზავნებოდა, უან ლაბურ-  
დენთან, რომელიც პარიზში, გრენელის სანაპირო-  
ზე წიგნის მაღაზიას ფლობდა; ვინმე იაკობ მენ-  
დელი უსაყვედურებდა ადრესატს, უკანასკნელი  
რვა ნომერი ყოველთვიური „საფრანგეთის ბიბ-  
ლიოგრაფიული ბიულეტენისა“, მიუხედავად იმი-  
სა, რომ წლის საფასური წინასწარ გადახდილი  
მაქვს, არ მიმიღიაო. ეს წერილი ხელში ჩაუვარდა  
ცენზურის მოხელეს, გიმნაზიის ყოფილ მასწავლე-  
ბელს, მოწოდებით რომანისტს, რომელსაც ლურ-  
ჯი მუნდირი გადააცვეს, და ძალზე გაუკვირდა, სუ-  
ლელური ხუმრობაა, გაიფიქრა მან. ორი ათას  
წერილს შორის, რომელსაც იგი ყოველკვირა ჩხრეკ-

და, სინათლეზე გალანტავდა და შათში ეჭივის მისა-  
ტან წინადადებებსა და ჯაშუშურ ცნობებს ეძებდა,  
ეს ამბავი აბსურდად ეჩვენა; როგორ შეიძლება,  
რომ ავსტრიიდან ვინმეს არხეინად საფრანგეთში  
მიეწეროს ბარათი და საომარ მდგომარეობაში შეკვე-  
ქვეყანასთან გასაგზავნი წერილი საფოსტო ყუთში  
ჩაეგდოს, თითქოსდა ამ ქვეყნების საზღვრები 1914  
წლიდან მოყოლებული მავთულლობურებით არ ყო-  
ფილიყოს შემოვლებული და ღმერთისაგან შექმნი-  
ლი საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია და რუსეთი  
მამაკაცების მოსახლეობის რიცხვს რამდენიმე ათ-  
ასი სულით არ ამცირებდნენ. თავდაპირველად  
ცენზორმა კურიოზული ლია ბარათი თავის საწერ  
მაგიდის უჯრაში შეინახა, ისე რომ, არც უფიქრია  
ამ სისულელის შესახებ ვინმესთვის მოეხსეხებინა.  
მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ ცენზორს კვლავ  
იმავე იაკობ მენდელის ლია ბარათი ჩაუვარდა ხელ-  
ში. ბარათი ჯონ ოლდრიჯის სახელზე იყო დაწე-  
რილი, რომელიც ლონდონში ჰოლბორნ-სკვერზე  
წიგნის მაღაზიას ფლობდა. მენდელი მას „ანტიკვა-  
რის“ უკანასკნელ ნომერს სთხოვდა. ლია ბარათზე  
კვლავ იაკობ მენდელის ხელწერა იყო, რომელიც  
გულისამაჩუყებელი მიაშირობით თავის ნამდვილ  
მისამართს სწერდა. იქ კი გიმნაზიის მასწავლებელს  
მუნდირმა თავისი მოვალეობა გაახსენა. შესაძლე-  
ბელია, ამ სულელური ხუმრობის მიღმა რაიმე გა-  
საშიფრი აზრი იმალებაო. ყოველ შემთხვევისათვის  
იგი ადგა, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და ორივე ბა-

რათი მაიორს დაულიგა მაგიდაზე. მაიორმა მხრები  
აიჩეჩა: უცნაური შემთხვევა! პირველად პოლიციას  
აცნობა, არსებობს თუ არა ნამდვილად იაკობ მენ-  
დელიო, და ერთი საათის შემდეგ იაკობ მენდელი  
დააპატიმრეს. იგი მოულოდნელობისაგან ჯერ კი-  
დევ არ იყო გონის მოსული, რომ მაიორს მიჰვარეს.  
მაიორმა მას საიდუმლო ლია ბარათები წინ დაუ-  
დო, შენი გაგზავნილია თუ არაო. მენდელი ააღელ-  
ვა მაიორის მკაცრმა ტონმა და თანაც ის ეწყინა,  
კატალოგის კითხვას რატომ მომწყვიტესო. ამიტომ  
უხეშად უპასუხა, რასაკვირველია. ეს ბარათები მე  
დავწერე, მგონი, არსებობს იმის უფლება. რომ გა-  
დახდილი ფულის საფასურად უურნალი მოვითხო-  
ვოთ. მაიორი სავარძელში მოუტრიალდა მის გვერ-  
დით მჯდომ ლეიტენანტს. მოხელეებმა ერთმანეთს  
თვალი თვალში გაუყარეს: ნამდვილად სულელია!  
შემდეგ მაიორი ჩატიქრდა: გაელანდლა და გაეგდო  
ეს გიუი. თუ საჭმეს სერიოზულად მოჰკიდებოდა.  
ასეთ გაურკვეველ შემთხვევაში ყველა დაწესებუ-  
ლება ოქმს მიმართავს. ოქმი ყოველთვის კარგია.  
თუ საჭირო არაა, ზიანს მაინც არ მოიტანს და ერ-  
თი ასეთი ფარატინა ქალალდი სხვა ამდაგვარი ქა-  
ლალდების გროვას მიემატება.

ამ შემთხვევაში. საუბედუროდ, ოქმა ავნო  
უდანაშაულო აღამიანს. რომლისთვისაც უკვე მე-  
სამე კითხვა საბედისწერო შეიქნა. პირველად სა-  
ხელი ჰქითხეს: იაკობი. უფრო სწორად იანკეფ  
მენდელი. პროფესია: მეწვრილმანე ვაჭარი (მას არ

ჰქონდა წიგნით ვაჭრობის ნება, მხოლოდ საწვრილ-  
მანოს გაყიდვის უფლებით სარგებლობდა). მესამე  
კითხვა კატასტროფული გამოდგა: დაბადების აღ-  
გილი — იაკობ მენდელმა ერთი პატარა დაბა და-  
ასახელა პეტრიკაუს მახლობლად. მაიორმა წარბები  
ასწია. პეტრიკაუ ხორ რუსულ პოლონეთში მდება-  
რეობს, საზღვრის მახლობლად? საეჭვოა! ძლიერ  
საეჭვოა! და უფრო მკაცრი ტონით ჰკითხა მაიორმა,  
როდის მიიღე ავსტრიის ქვეშევრდომობაო. მენ-  
დელი სათვალიდან გაკვირვებული მიშტერებოდა  
მაიორს; მას არაფერი ესმოდა. ეშმაკმა დალახვროს.  
სადაა მისი ქალალდები, მისი საბუთები? მას მე-  
წვრილმანე ვაჭრის ცნობის მეტი არაფერი გააჩნდა.  
მაიორმა წარბები კიდევ უფრო მაღლა ასწია. ბო-  
ლოს და ბოლოს თქვას, რომელი სახელმწიფოს  
ქვეშევრდომია? ვინ იყო მამამისი, ავსტრიელი თუ  
რუსი? იაკობ მენდელმა მშვიდად უპასუხა: რა-  
საკვირველია, რუსი. თვითონ? ოცდაცამეტი წლის  
წინათ რუსეთის საზღვარზე გაღმოიპარა და მას  
შემდეგ ვენაში ცხოვრობს. მაიორს სულ უფრო და  
უფრო დაეტყო მოუსვენრობა, როდის მიიღო მან  
ავსტრიის ქვეშევრდომობა? რა საინტერესოა? იკი-  
თხა მენდელმა. ასეთი საქმეები მას არასოდეს არ  
აინტერესებდა. მაშასადამე, ახლაც რუსეთის ქვა-  
შევრდომია? და მენდელმა, რომელსაც ასეთი გუ-  
ლისგამაწვრილებელი შეკითხვები მოსწყენოდა,  
გულგრილად უპასუხა: „ასე გამოდის“.

შეშინებული მაიორი ისე სწრაფად გადაიწია

უკან, რომ სავარდელმა დაიჭრაჭუნა. და ეს ხდებოდა ვენაში, ავსტრიის დედაქალაქში, განურებული მოის დროს, 1915 წლის ბოლოს. ტარნოვთან მომხდარი დიდი ბრძოლისა და საერთო შეტევის შემდეგ, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, ერთი ვიღაც რუსი დასეირნობს, საფრანგეთსა და ინგლისში წერილებს წერს და პოლიცია კი მას აინუნშიაც არ აგდებს. და ამის შემდეგ სულელები გაზეთებში წერენ, რომ კონრად ფონ ჰოტცენდორფი დროულად ჰერ შევიღა ვარშავაში, ხოლო გენერალურ შტაბში გაკვირვებას გამოთქვამენ, როდესაც ჯარის ნაწილების ყოველ გადაადგილებას ჯაშუშების საშუალებით რუსეთში მაშინვე ტყობილობენ. ლეიტენანტიც წამოდგა და მაგიდასთან მივიღა: საუბარი მალე დაკითხვად გადაიქცა. რატომ არ განაცხადა უცხოელი ვარო? მენდელმა, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა, რა მოელოდა, ღილინის ხმაზე ებრაული აქცენტით უპასუხა: „რისთვის იყო საჭირო, რომ გამოვცხადებულიყავი?“ ამ შებრუნებულ კითხვაზე მაიორმა საჭიროდ სცნო მუქარით ეკითხა მენდელისათვის, წაიკითხა თუ არა მან განცხადება? არა, შესაძლებელია, იგი გაზეთებსაც არ კითხულობს? კვლავ არა!

ორივე გაკვირვებული მიშტერებოდა ჭირისოფლდასხმულ იაკობ მენდელს, ისე, თითქოს საკანცელარიო ოთახში მთვარე ჩამოვარდნილიყო. შემდეგ აწკრიალდა ტელეფონი, ახმაურდა საბეჭდი მანქანები, აფრინეს შიკრიკები და იაკობ მენდელი

გარნიზონის ციხეში გადააგზავნეს. რათა იქმდან  
შემდგომი ეტაპით საკონცენტრაციო ბანაკში გადა-  
ეყვანათ. როდესაც მენდელს უბრძანეს, ორ ჯარის-  
კაცს გაჰყოლოდა, მან დაბნეულად მიმოიხედა. არა-  
ფერი გაეგებოდა, რა სურდათ მისგან, თუმცა არც  
იმდენად გრძნობდა მოახლოებულ საშიშროებას.  
რა უნდოდა მოოქროვილ საყელოიან და უხეში  
ხმის მქონე კაცს მისგან? წიგნების უმაღლეს სამყა-  
როში არ მიმდინარეობდა ომი, არ იყო გაურკვევ-  
ლობა. იყო მხოლოდ მისწრაფება. რაც შეიძლება  
შეტი და მეტი სცოდნოდა რიცხვები და სიტყვები,  
სახელები და სათაურები: ასე უღრტვინველად ჩა-  
ჰქვა იგი კიბეებზე ორ ჯარისკაცს. როდესაც პოლი-  
ციაში პალტოს ჭიბეებიდან ყველა წიგნი ამოუღეს  
და საფულე ამოუქექეს. რომელშიც ასობით ბარა-  
თი და კლიენტების მისამართები იყო. მაშინ მან  
გააფთრებით იწყო თავის დაცვა. პოლიციელები  
იძულებული გახდნენ ძალით დაემორჩილებინათ.  
მაგრამ ამ დროს მენდელს სათვალე ჩამოუვარდა,  
იატაკზე დაეცა და ჭადოსნური ტელესკოპი. რომ-  
ლითაც იგი თავის სულიერ სამყაროს უჭირებდა,  
ნამსხვრევებად იქცა. ორი დღის შემდეგ იგი თხელ  
საზაფხულო პალტოში რუსი მოქალაქეებისათვის  
განკუთვნილ საკონცენტრაციო ბანაკში გადააგზავ-  
ნეს, კომორნის ახლოს.

თუ როგორი სულიერი ტანჯვა გადაიტანა იაკობ  
მენდელმა ამ ორი წლის განმავლობაში საკონცენ-  
ტრაციო ბანაკში უწიგნოდ, უფულოდ, გულგრილ,

უხეშ, მეტწილად გაუნათლებელ თანამოძმეთა შო-  
რის, თუ როგორი ტანჯვა განიცადა მის ერთადერთ,  
უზენაეს სამყაროს, წიგნების სამყაროს მოწყვეტილ-  
მა, ისე როგორც ფრთამოტეხილმა არწივმა — ამის  
არც ერთი მოწმე არ გვეგულება. მაგრამ სიგიურისა-  
გან თანდათან გამოფხიზლებულმა სამყარომ შეიგ-  
ნო, რომ ამ ოშეი სხვა ულმობლობასა და დანაშა-  
ულთა შორის ყველაზე უფრო უაზრო, ზედმეტი,  
შორალურად გაუმართლებელი იყო მავთულხლარ-  
თებს იქეთ უწყინარი, ხანდაზმული აღამიანების  
დამწყვდევა, რომლებიც დიდი ხანია წვევანდელო-  
ბის ასაკს გასცდენოდნენ. ესენი მრავალი წლის  
განმავლობაში უცხო ქვეყანაში ისე ცხოვრობდნენ,  
როგორც საკუთარ სამშობლოში, მაგრამ ამ სტუ-  
მართმოყვარეობის იმედი გაუცრუვდათ, რომე-  
ლიც თვით ტუნგუზებსა და არაუკანებსაც კი ახა-  
სიათებთ. და ამიტომაც იყო, ისინი დროზე არ გა-  
იქცნენ ამ ქვეყნებიდან. ეს ხდებოდა როგორც სა-  
ფრანგეთში, ასევე გერმანიასა და ინგლისშიც, გო-  
ნებაწართმეული ევროპის ყოველ კუთხეში. და შე-  
საძლებელია იაკობ მენდელიც, ისე როგორც ასო-  
ბით სხვა უდანაშაულო მსხვერპლი, ჭკუიდან შემ-  
ცდარიყო, ანდა დეზინტერიისა, შიმშილისა თუ სუ-  
ლიერი შეძრწუნებისაგან დალუპულიყო, რომ უკა-  
ნასკნელ წუთში არ ეხსნა იგი შემთხვევითობას:  
მენდელის გაქრობის შემდეგ მის მისამართზე მო-  
დიოდა წერილები ცნობილი კლიენტებისაგან.  
გრაფმა შონბერგმა, შტაიერმარკის ყოფილმა მმარ-

თველმა, რომელიც ჰერალდიკური ლიტერატურის  
ფანატიკური კოლექციონერი იყო, ზიგენფელდის  
თეოლოგიური ფაკულტეტის ყოფილმა დეკანმა,  
რომელიც ავგუსტინეს ერთ-ერთ კომენტარზე მუ-  
შაობდა, ოთხმოცი წლის პენსიონერმა ფლოტის  
ადმირალმა ედლერ ფონ პიზეკმა, რომელიც კიდევ  
და კიდევ თავის მოგონებებს ამუშავებდა, ერთი  
სიტყვით, მენდელის ერთგულმა კლიენტებმა რამ-  
დენჯერმე მისწერეს მას კათე „გლუკში“. ზოგიერ-  
თი წერილი საკონცენტრაციო ბანაკში გადაუგზავ-  
ნეს მენდელს. აქ ეს წერილები შემთხვევით ხელში  
ჩაუვარდა იმ დროს კარგ გუნებაზე მყოფ ერთ კა-  
პიტანს. იგი გააოცა, თუ რა წარჩინებულ ხალხთან  
ჰქონია ნაცნობობა ამ პატარა, ნახევრად ბრმა, ბინ-  
ძურ ებრაელსო, რომელიც მას შემდეგ, რაც სათვა-  
ლე გაუტყდა (ფული არ ჰქონდა, ახალი რომ შე-  
ეძინა), კუთხეში მუდოსავით ხმის ამოუღებლად  
მიყუჟულიყო. ვისაც ასეთი ნაცნობები ჰყავს, არ  
შეიძლება უმნიშვნელო პიროვნება იყოს, ამიტომ  
კაპიტანმა მენდელს ნება დაროო პასუხი გაეცა წე-  
რილებზე და დახმარება ეთხოვა თავისი მფარვე-  
ლებისათვის. დახმარებამაც არ დაიგვიანა. კოლექ-  
ციონერებისათვის ჩვეული საოცარი სოლიდარო-  
ბით მისმა აღმატებულებამ და დეკანმა გამოიყენეს  
თავიანთი გავლენა და მიაღწიეს იმას, რომ 1917  
წელს, ორ წელზე მეტი ხნის პატიმრობის შემდეგ,  
ბუკინისტი ვენაში დაბრუნდა იმ პირობით, რომ  
ყოველდღე პოლიციაში უნდა გამოცხადებული-

ყო. მაგრამ, რაც მთავარია, მენდელს კვლავინდებურად შეეძლო დაბრუნებოდა თავის თავისუფალ სამყაროს, თავის ძველ, პატარა მანსარდას, თავის საყვარელ წიგნებს და შეეძლო მჯდარიყო კაფე „გლუკში“.

ქვესკნელიდან კაფე „გლუკში“ მენდელის დაბრუნება ფრაუ შპორშილს საკუთარი თვალით ეხილა და შეეძლო ზუსტად აეწერა კიდეც. ერთ დღეს, წმიდაო მარიამ, თვალებს არ დავუჭერე, კარები ოდნავ გაიღო, როგორც ეს მენდელს სჩვეოდა და კაფეში საცოდავმა ბატონმა მენდელმა შემოაბიჯა. მას მთლად დაკერებული ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა, თავზე რაღაც ეხურა, რომელიც ერთ დროს ალბათ ქუდი იყო, საყელო არ ჰქონდა, თვითონ მიცვალებულივით გამოიყურებოდა, სახე გაჰყვითლებოდა, თმა გასთეთრებოდა და ისე დალეულიყო, რომ შეხედვა შეგეშინდებოდა, მაგრამ ისეთნაირად შემოვიდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, არც არაფერი უკითხავს, არც არაფერი უთქვამს, პირდაპირ მაგიდასთან მივიდა, პალტო გაიხადა, მხოლოდ არა ისე მსუბუქად და მკვირცხლად, როგორც ადრე, მძიმედ ქოშინებდა კიდევაც, არც ერთი წიგნი თან არ მოუტანია, როგორც ეს მას სჩვეოდა. ხმის ამოუღებლად მიუჭდა მაგიდას, უაზროდ მიაშტერდა სივრცეს ცარიელი, ჩამქრალი თვალებით. შემდეგ თანდათან, როდესაც ჩვენ გერმანიიდან მიღებული მთელი გროვა წერილები

მოვუტანეთ, კვლავ გათი კითხვა დაიწყო, მაგრამ  
იგი უკვე სულ სხვა იყო.

მართლაცდა იგი სულ სხვა იყო, აღარ იყო  
სამყაროს საკვირველება, ყველა წიგნის ჯადოქრუ-  
ლი რეგისტრატორი; ყველამ, ვინც კი მაშინ მენ-  
დელი ნახა, ნაღვლიანად იგივე დაგვიმოწმა.  
ჩანდა, სამუდამოდ შეცვლილიყო მისი ჩვეულებ-  
რივ წყნარი, თითქოსდა მთვლემარე გამოხედვა,  
გამოხედვა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ წიგ-  
ნებისკენ იყო მიმართული. მასში რაღაც დარღვე-  
ულიყო, საშინელმა სისხლიანმა კომეტამ გიუური  
სრბოლის დროს გაანადგურა აგრეთვე მისი წიგნე-  
ბის სამყაროს წყნარი განზემყოფი მნათობიც; თვა-  
ლებმა, რომელნიც ათეული წლის განმავლობაში  
მიჩვეულნი იყვნენ ნაზი, უტყვი, მწერის ფეხების  
მსგავსი ასოების კითხვას, ეტყობოდათ, მავთულ-  
ლობურებს იქეთ შეყრილი აღამიანების გროვაში  
საშინელი რამ იხილეს, რადგანაც ოდესლაც დამ-  
ცინავ და მარდ, ახლა უკვე მიმქრალ თვალებზე,  
ძაფებით საცოდავად დამაგრებულ სათვალეში რომ  
მოჩანდა, წამწამები მძიმედ დაეშვა. უფრო მეტიც:  
მის განსაცვიფრებელი მახსოვრობის შენობას რო-  
მელილაც ბოძი გამოცლოდა და მთელი შენობა შე-  
ერყია. რადგანაც ჩვენი გონება ისეთი ნაზია, იგი  
ისეთი ფაქიზი ნივთიერებისაგანაა შემდგარი, რომ  
საკმარისია, ერთ რომელიმე სისხლის ძარლვს შე-  
ვეხოთ, ერთი ნერვი გავალიზიანოთ, რომელიმე უკ-  
რედი გადავღიალოთ, რომელიმე მოლექულის უმ-

ნიშვნელო ცვლილება მოხდეს, რომ ადამიანის გონების ყოვლისმომცველი ჰარმონიულობა დაირღვევა. და ციხიდან დაბრუნებული მენდელის გონებაში, ცოდნის ამ თავისებურ კლავიატურაში, კლავიშები ჩაწყვეტილიყო. როდესაც ზოგჯერ მასთან კონსულტაციისათვის მოდიოდნენ, მენდელი დაქანცული მიაპყრობდა მზერას მთხოვნელს და არაფერი გაეგებოდა! ყურსაც ვერ უგდებდა, ავიწყდებოდა, რას ეუბნებოდნენ, მენდელი ის მენდელი აღარ იყო, ისევე როგორც ძველებური ქვეყანა შეცვლილიყო. კითხვისას მენდელი უკვე აღარ ირწეოდა. თავდავიწყებაში მყოფი — იგი მეტწილად უძრავად იჯდა, მექანიკურად იყურებოდა სათვალიდან წიგნში. ხშირად თავი ძირს ჩამოუვარდებოდა, — ჰყვებოდა ფრაუ შპორშილი, — და დღისით ჩამოეძინებოდა ხოლმე, ან არადა საათობით მიშტერებოდა აყროლებულ აცეტონის ლამპას, რომელსაც მაგიდაზე უდგამდნენ — ნახშირი არ ჰყოფნიდათ და ელექტროსადგური არ მუშაობდა; არა, მენდელი აღარ იყო ის მენდელი, არ იყო სამყაროს საოცრება, იყო ერთი ქანცმილეული, უსარგებლო, წვერმოშვებული ჩონჩხი, რომელზედაც ტანსაცმელი იყო შემოხვეული. იგი უკვე აღარ იყო მშვენება და დიღება კაფე „გლუკისა“; იაკობ მენდელი სამარცხვინო, ჭუჭყიან ლაქად აჩნდა კაფეს, უსიამო შესახედი, აყროლებული, უსარგებლო პარაზიტი.

და ასეთადაც სთვლიდა მას კაფეს ახალი მეპატ-

რონე რეტცელი ფლორიან გურტნერი, რომელიც  
ფქვილისა და კარაქის სპეციულაციით გამდიდრებუ-  
ლიყო 1919 წელს შიმშილობის პერიოდში და რო-  
მელმაც პატიოსან შტანდჰარტნერს ორმოც ათას  
გაბონებული ქაღალდის კრონად გამოცინცლა კაფე  
„გლუკი“. მან საქმეს თავისი მტკიცე გლეხური ხე-  
ლი ჩასჭიდა, სწრაფად გააკეთა ძველმოდური კაფე  
უფრო თანამედროვე ყაიდაზე, ჩალის ფასად შეი-  
ძინა ახალი სავარძლები, შესასვლელი მარმარილო-  
თი მოაპირკეთა და მოლაპარაკება გამართა მეზო-  
ბელ რესტორნის მეპატრონესთან, რათა იქ ორკეს-  
ტრისათვის ესტრადა მიეშენებინა. რასაკვირველია,  
ამ სასწრაფო რეკონსტრუქციაში ფლორიანს  
ძლიერ უშლიდა ხელს გალიციელი პარაზიტი, რო-  
მელიც მთელი დღის განმავლობაში, გათენებიდან  
დაღამებამდე მარტოდმარტო იკავებდა მთელ მა-  
გიდას და ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ორ  
ფინჯან ყავას სვამდა და ხუთ ფუნთუშას სჭამდა.  
შტანდჰარტნერმა, მართალია, ახალი მეპატრონის  
ყურადღება კაფეს ამ მუდმივ სტუმარზე შეაჩერა  
და აუხსნა კიდეც, როგორი მნიშვნელოვანი აღა-  
მიანიც იყო იაკობ მენდელი; შტანდჰარტნერმა, ასე  
ვთქვათ, იაკობ მენდელი ავეჯთან ერთად გადასცა  
ახალ მეპატრონეს, ისე, როგორც ვალდებულება,  
რომელიც დაწესებულებას ეკისრებოდა. მაგრამ  
ფლორიან გურტნერს ახალი ავეჯისა და ალუმინის  
სალაროს შეძენასთან ერთად გამდიდრების  
ხარბი სურვილი დაუფლებოდა და საბაბს ეძებდა,

რათა პროცენტის უბადრუკობის თავმომაბეჭ-  
რებელი ნარჩენი თავის ჩინებულ კაფედან გაეძე-  
შებინა. შესაფერისი მიზეზიც მალე გამოჩნდა: ია-  
კობ მენდელი ცუდად ცხოვრობდა, მისი უკანასკნე-  
ლი დანაზოგი, ბანკნოტები ინფლაციამ შთანთქა,  
კლიენტები შემოეფანტა, წიგნების სახლებში გასა-  
სყიდად ჩამოტარება და მაღალ კიბეებზე ასვლა ძა-  
ლიან უჭირდა. ეს ემჩნეოდა წვრილმანზეც: იგი  
მხოლოდ იშვიათად აგზავნიდა ვინმეს რესტორან-  
ში სადილისათვის და ხშირად ყავისა და პურის  
ფულს ვალად იდებდა. ერთხელ სამი კვირითაც და-  
აგვიანდა ფულის გადახდა. უკვე მაშინვე მოინდო-  
მა ობერ-კელნერმა მისი ქუჩაში გაგდება, მაგრამ  
ფრაუ შპორშილმა შეიცოდა და თავდებობა  
იცისრა.

შემდეგ თვეში უბედურება მაინც დატრიალდა.  
ახალმა ობერ-კელნერმა უკვე რამდენჯერმე შენიშ-  
ნა, რომ ანგარიშის დროს ფუნთუშების რიცხვი  
კლებულობდა. ობერ-კელნერის ეჭვი, რასაკვირვე-  
ლია, მენდელზე შეჩერდა, რაღგანაც უკვე მრავალ-  
გზის მოსულიყო მოხუცი კურიერი, რომელსაც გა-  
ნუცხადებია, რომ მენდელს ნახევარი წელია მისი  
ფული მართებს და ჭერჭერობით ვერც ერთი ჰე-  
ლერი ვერ გამოსტყუ. ობერ-კელნერმა განსაკუთ-  
რებულად დაუწყო თვალყურის დევნება მენდელს.  
ორი დღის შემდეგ ღუმელს უკან დამალულმა  
ობერ-კელნერმა დაინახა, როგორ წამოდგა იაკობ  
მენდელი თავის მაგიდიდან, გავიდა მეორე ოთახში

და ჩუმად იმოიღო პურის კალათიდან ორი ფუნ-  
თუშა და ხარბად ჩაიტენა პირში. ყავის ფულის გა-  
დახდისას მენდელმა იუარა, ფუნთუშა არ შემიჭა-  
მიაო. ყველაფერი ნათელი იყო. ობერ-კელნერმა  
ეს ამბავი იმწუთსავე ბატონ გურტნერს მოახსენა.  
ხოლო ამ უკანასკნელმა, აქაოდა დიდი ხნის ნანატ-  
რი საბაბი ვიპოვეო, მთელი ხალხის თანდასწრებით  
დაულრიალა მენდელს, ქურდობა დასწამა და თავ-  
მომწონედ ისიც დასძინა, პოლიციას არ მინდა გა-  
მოვუძახო. მენდელს კი უბრძანა, ფეხი აღეკვეთა  
მისი კაფედან. იაკობ მენდელი სულ მთლად აკან-  
კალდა, არაფერი უთქვამს, თავის აღვილიდან ფეხი  
ძლივს აითრია და წავიდა.

— საცოდაობა იყო, — ამბობდა ფრაუ შპორ-  
შილი, როდესაც მენდელის გაძევების ამბავს ჰყვე-  
ბოდა, — არასოდეს დამავიწყდება, როგორ წა-  
მოდგა, სათვალე ქაღალდივით თეთრ შუბლზე აე-  
წია, მას დროც არ ჰქონდა, პალტო რომ ჩაეცვა,  
მაშინ ხომ იანვარი იყო, თქვენ გახსოვთ, როგორ  
ციოდა იმ წელს. შიშისაგან მაგიდაზე გადაშლილი  
წიგნიც დავიწყებოდა. მე გვიან შევნიშნე და მინ-  
დოდა დავწეოდი. მაგრამ უკვე კარებში გასულიყო.  
ქუჩაში გამოკიდება ვერ გავბედე, რაღგანაც კა-  
რებში ბატონი. გურტნერი ჩამდგარიყო და ისე  
ილანძლებოდა, რომ გამვლელები ჩერდებოდნენ.  
სირცხვილი იყო, მიწა გამსკდომოდა მერჩია; ბა-  
ტონი შტანდპარტნერი არასოდეს არ გააგდებდა  
ვისმეს ორი ფუნთუშის გულისათვის. მასთან მენ-

დელს 'შეეძლო სიკვდილამდე უფასოდ ეჭიაშა. მაგრამ არ იცით ახლანდელი გულქვა ადამიანები! იმ კაცის გაგდება, რომელიც ოცდაათი წელიწადი დღენიადაგ ერთ ადგილას იჯდა — ნამდვილად სირცხვილია და მე არ შემიძლია ღმერთის წინაშე ამაზე პასუხი ვაგო — არა, არ შემიძლია.

კეთილი ქალი ძლიერ გაბრაზებული იყო და მოხუცებულისათვის ჩვეული ყბელობით ერთი და იგივეს მიმეორებდა. სირცხვილი, შტანდჰარტნერი ასე ცუდად არ მოიქცეოდა. ბოლოს ქალს შევეკითხე, ხომ არ იცით რა დაემართა მენდელს, ანდა ამის შემდეგ ხომ არ გინახავთ-მეთქი. ფრაუ შპორშილი შეფრთხიალდა და ოლელვებულმა განაგრძო: თქვენ შეგიძლიათ მერწმუნოთ, ყოველდღე მის მაგიდას რომ ჩავუვლიდი, გული მექუმშებოდა. სულ იმაზე ვფიქრობდი, სადაა ახლა საწყალი მენდელი-თქო, და რომ მცოდნებოდა, სად ცხოვრობდა, ცხელ საჭმელს წავულებდი, აბა, მას სად ექნებოდა ფული საჭმელისათვის? ნათესავები არავინ ჰყავდა, ბოლოს და ბოლოს ვიფიქრე, ცოცხალს ვეღარ ვნახავდი და ხომ არ სჯობდა, მისი სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადამეხადა; იგი ხომ კეთილი ადამიანი იყო და მე ოცდახუთ წელზე მეტი ხანია ვიცნობდი.

ერთხელ თებერვალში, დილით ადრე, რვის ნახევარზე, ის იყო ფანჯრებზე სპილენძის საკეტების წმენდა დავიწყე, უცებ იცით, იგი კარებში ყოველ-

თვის გვერდულად შემოდიოდა, რაღაცნაირად გაუ-  
ბედავად, მაგრამ ამჯერად სულ სხვაგვარად შემო-  
ფრატუნდა. იმწუთსავე შევამჩნიე, მას რაღაც  
უჭირდა, თვალები ანთებოდა, თვითონ კი, ღმერ-  
თო ჩემო, მხოლოდ ძვალი და წვერებილა დარჩე-  
ნილიყო! შევხედე მას და შევატყვე, რომ არათერს  
გრძნობდა, დღისით-მზისით მთვარეულივით და-  
ბორიალობდა, ყველაფერი დავიწყებოდა, ფუნთუ-  
შებიც და ისიც, თუ როგორ გააძევა ბატონმა გურ-  
ტნერმა. ეტყობოდა საკუთარი თავიც არ ახსოვ-  
და. მაღლობა ღმერთს! ბატონი გურტნერი ჯერ კი-  
დევ არ იყო მოსული, და ობერ-კელნერიც ყავას  
სვამდა. სწრაფად მივიჭერი, რომ მეოქვა, აქაურო-  
ბას გასცლოდა, თორემ ის უხეში ვაჟბატონი (აქ  
მან შიშნარევად მოიხედა და სწრაფად გაასწორა),  
მე ვგულისხმობ ბატონ გურტნერს, კვლავ კინწის-  
ცრით გააგდებდა. „ბატონო მენდელ“, — დავუ-  
ძახე, იგი მომაშტერდა. და იმ წუთში, ღმერთო ჩე-  
მო, ეს საშინელება იყო, იმ წუთში მას ყველაფერი  
გაახსენდა: შეკრთა და კანკალმა აიტანა; მარტო ხე-  
ლები კი არ უკანკალებდა, მთელი ტანით ცახცა-  
ხებდა, შებრუნდა და კარისაკენ წავიდა. კარს მიაღ-  
წია და ჩაიკეცა კიდევაც. ჩვენ მაშინვე სასწრაფო  
დახმარებას დავურეკეთ, და მათ წაიყვანეს ნახევ-  
რად გრძნობადაკარგული. საღამოთი გარდაიცვა-  
ლა, ექიმმა თქვა, ფილტვების ანთება ჰქონდაო. შე-  
საძლებელია, უკვე უგრძნობლად იყო, როდესაც

ჩვენთან მთვარეულივით მოვიდა. ღმერთო ჩემო, როცა კაცი ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში ყოველდღე ერთსა და იმავე მაგიდას უზის, მაშინ თავს ისე გრძნობს, როგორც შინ.

ჩვენ კიდევ დიდხანს ვიმუსაიფეთ მენდელის შესახებ. ალბათ უკანასკნელი ადამიანები ვიყავით, რომელთაც ეს უცნაური კაცი გვახსოვდა. მენდელმა, მიუხედავად თავისი მიკროსკოპული-პარატინა არსებისა, მე, ჯერ კიდევ პირტიტველა ჭაბუკს, პირველად შემიქმნა წარმოდგენა სულიერ ცხოვრებაზე. და დამლაგებელ ქალს, რომელსაც თავის დღეში წიგნი არ წაეკითხა, მაინც მენდელში უბედურებისა და გაჭირვების თანაზიარი აღმოეჩინა, რადგანაც ოცდახუთი წლის განმავლობაში პალტოს უწმენდდა და ღილებს უკერებდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ შესანიშნავად გვესმოდა ერთმანეთისა; მცს ძველ, მიტოვებულ მაგიდასთან ჩვენში ამოტივტივდა მენდელის სახე. ერთი და იგივე მოგონებანი ადამიანებს აახლოებს, და მით უმეტეს, თუ ეს მოგონებები სიყვარულითაა გამთბარი. მოულოდნელად შუა ლაპარაკში ქალს რაღაც გაახსენდა: — ღმერთო ჩემო, როგორ დამავიწყდა, წიგნი მე მაქვს, რომ დარჩა... მაშინ... ვისთვის უნდა მიმეტანა? არავის მოუკითხავს. ვიფიქრე, ჩემთვის დავიტოვებ სახსოვრად-თქო. ცოდვად ხომ არ ჩამეთვლება? — იგი სწრაფად გავიდა და წიგნი გამოიტანა, ძლივს შევიკავე ღიმილი, რადგან ხშირად მოთამაშე და დამცინავი ბედი, შემაძრწუნებელ.

რამ ამბავში კომიკურ ელემენტსაც გაურევს ხოლ-  
მე. ეს იყო ჰაინის „Bibliotheca Germanorum  
erotica et curiosa“-ს მეორე ტომი, რაც ბიბლიოთ-  
ეკილისათვის კარგადაა ნაცნობი და გალანტური  
ლიტერატურის კომპენდიუმს წარმოადგენს. და  
სწორედ უწმაწური ლიტერატურის ეს კატალოგი  
habent sua fata libelli — აღმოჩნდა გარდაცვლილი  
მაგიკოსის უკანასკნელი ანდერძი, რომელიც მან  
უმეცარ და უბირ დედაკაცს გადასცა. ამ ქალის  
ხელებს არასოდეს არც ერთი წიგნი არ სჭერიათ,  
ვარდა ლოცვანისა. მე სიცილს ძლივს ვიკავებდი  
და ჩემში წუთიერმა შეყოვნებამ გულუბრყვილო  
ქალი შეაკრთო. იქნებ ეს წიგნი ძალზე ძვირფასია,  
თუ შეიძლება დავიტოვოთ?

მე მაგრად ჩამოვართვი ქალს ხელი. — დაიტო-  
ვეთ. ჩვენ ძველ მეგობარს მენდელს ძალიან გაე-  
ხარდებოდა, რომ იმ მრავალრიცხოვან ადამიანთა  
შორის, ვისაც კი მისგან წიგნები მიუღია, გამოიძებ-  
ება თუნდაც ერთი, რომელიც მას მოიგო-  
ნებდა.

გარეთ გამოვედი. მრცხვენოდა ამ კეთილი, მო-  
ხუცი ქალის წინაშე, რომელმაც თავისი მიამიტი,  
მაგრამ ადამიანური გულწრფელობით გარდაცვ-  
ლილის ერთგულება შეინარჩუნა. უწიგნურმა ქალ-  
მა ერთი წიგნი მაინც შემოინახა მენდელის მოსა-  
გონებლად, მაშინ, როდესაც მე წლების განმავ-  
ლობაში მიმავიწყდა კიდეც ბუკინისტი მენდელი.

მე კი უნდა მცოლნოდა, რომ წიგნები იმიტომ იქმნება, რათა ადამიანები ერთმანეთს დააკავშიროს და დაიცვას ულმობელი მტრისაგან, წარმავლობისა და დავიწყებისაგან.